



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

02 თებერვალი 2026



N 21/1125

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს

მის: ქ. თბილისი, 70 ვაჟა-ფშაველა გამზ, 17 სართული

ელ. ფოსტა: Giorgi@edgeorgia.ge

David@edgeorgia.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ - სააგენტო) განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 24/11/2025 წ. N 11751 განცხადება და დაგეგმილი საქმიანობის (შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე, 15 მგვტ დადგმული სიმპლავრის „სურები 2 ჰესის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (შემდგომ - ანგარიში) და გაცნობებთ შემდეგს:

ა) ანგარიშში დასაზუსტებელია საშუალო წლიური ხარჯის დადგენის საფუძველი. კერძოდ, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ბახმაროს, ბჟუჟის, საშულას, ჩოხატაურის ჰიდროსადგურების ანალიზზე, მოდიფიცირებულ კოეფიციენტებზე და ა.შ., თუმცა რომელია ის დაკვირვებული რიგი, რომლის საშუალოც არის 3,99 მ³/წმ, გაუგებარია. ამასთან, „ცხრილი 5.1.3.2.4.5“-ში საშუალო წლიურ ხარჯად მითითებულია 3.99 მ³/წმ, ხოლო „ცხრილი 5.1.3.2.4.6“-ში - 3.83 მ³/წმ. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მდინარე სუფსას საშუალო წლიური ხარჯის დადგენის საკითხი;

ბ) ანგარიშის მიხედვით, მუდმივი ეკოლოგიური ხარჯი 0.38 მ³/წმ-ია. თუმცა ასევე მოცემულია ჩანაწერი მუდმივ და ცვალებად სანიტარულ ხარჯზე. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „საბოლოოდ, ელექტროენერჯის გამოიმუშავებისთვის რომელი მიდგომა იქნება შერჩეული ეს დამოკიდებულია დამკვეთის სტრატეგიაზე, რადგან საქართველოში ზოგადად ორივე მიდგომა მიღებულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცვალებადი სანიტარული ხარჯის მიდგომა უფრო თანამედროვეა და უფრო მეტად პოპულარული ხდება.“ შესაბამისად, აღნიშნული საკითხი (ეკოლოგიური ხარჯი, სანიტარული ხარჯი) დაზუსტებას საჭიროებს;

გ) ანგარიშის ჰიდროლოგიურ ნაწილში დასაზუსტებელია ვარიაციის და ასიმეტრიის კოეფიციენტები და 10, 50, 75, 90%-იან უზრუნველყოფის ხარჯებზე გადასვლის საფუძველი. ასევე, მდინარის ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების გამოთვლის საფუძველი;

დ) ცხრილი 5.1.3.2.4.3-ში ასახულია ინფორმაცია სათავიდან ჰესის შენობამდე არსებული შენაკადების სიგრძეების, წყალშემკრებების ფართობების და მათი წყლის ხარჯის რაოდენობების შესახებ. ამასთან, ანგარიშის მიხედვით, სათავე ნაგებობიდან ჰესის შენობამდე ეკოლოგიურ ხარჯს დაემატება მდინარე სუფსას არსებული შენაკადები და გაზრდის მას 1.58 მ³/წმ-მდე. თუმცა არ არის მოცემული ინფორმაცია, რა მეთოდოლოგიით/რის საფუძველზე არის დაანგარიშებული ამ შენაკადების ხარჯები. ასევე, არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, მუდმივად მოედინება თუ არა აღნიშნული შენაკადები წყალმცირობის პერიოდში და როგორია მათი საშუალო თვიური ხარჯი;

ე) ცხრილი 3.3.3-ში სააგრეგატო შენობასთან 1%-იანი მაქსიმალური ხარჯის შემთხვევაში მითითებულია 253 მ³/წმ, ხოლო ცხრილი 5.1.3.2.10.1-ში -296 მ³/წმ. ამასთან, გვ 195-ე მოცემული ინფორმაციის მიხედვით, „ძალური კვანძის არეალში 100-წლიანი განმეორებადობის წყალდიდობის გათვალისწინებით, პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს 200 მ³/წმ“. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული განსხვავებული სიდიდეების საკითხი დაზუსტებას და შესაბამის განმარტებას საჭიროებს;

ვ) 5.1.3.2.9 თავში გაურკვეველია და უნდა დაზუსტდეს ზოგადი ექსტრემალური მნიშვნელობების (GEV) მორგება, წარმოდგენილი ცხრილები/მნიშვნელობები, ასევე, წყალდიდობის შეფასება 90% სანდობის ინტერვალით და ცხრილში მოცემული დაბალი სანდობა (0,5) და მაღალი სანდობა (0,95) (მაგ. ცხრილი 5.1.3.2.9.1). თუ 100-წლიანი განმეორებადობის ხარჯი არის 159 მ³/წმ და ეს არის 90 % სანდობის ინტერვალი, განმარტებას საჭიროებს, რას აღნიშნავს და რის მიხედვით არის მოცემული 0,5 სანდობის ინტერვალი და 0,95 სანდობის ინტერვალი და მიღებული სიდიდეები;

ზ) ანგარიშში დაუსრულებელია ქვეთავი 5.1.3.2.7 (დღე-ღამური ხარჯის გადაყვანის მომენტალურ მნიშვნელობებზე), რაც უნდა დაზუსტდეს;

თ) ანგარიშში (გვ. 53) თევზსავალის გეგმაზე ტიხრებში ღიობის განლაგება ნაჩვენებია ერთ მხარეს. აღნიშნულთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, რომ წყლის ნაკადის ენერჯის გაფანტვის თვალსაზრისით ღიობები, როგორც წესი, მარჯვენა და მარცხენა კედელთან მონაცვლეობით ეწყობა. შესაბამისად, ეს საკითხი დასაზუსტებელია;

ი) ანგარიშში ნახაზებზე არ არის მოცემული ინფორმაცია მილსადენის ტრასაზე ფერდობის მაღალი მოჭრის უბნის (0+325÷0+500, 1+875, 3+300÷3+100, 3+395 3+525, 3+550, 4+075, 4+600, 4+950, 4+975, 6+300 და სხვ.), მათი მდგრადობის პირობების და ჰორიზონტალური ბერმების მოწყობის აუცილებლობის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

კ) სათავე ნაგებობის, ძალოვანი კვანძის და ნაპირსამაგრი ნაგებობების განთავსების ადგილებში მოცემულ განივ ჭრილებზე და აგრეთვე სახიდე გადასასვლელების ნახაზებზე ნაჩვენებია უნდა იყოს საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები, წყლის მახასიათებელი დონეები (ნაპირსამაგრი ნაგებობებზე) და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმეები;

ლ) ანგარიშში უნდა დაზუსტდეს, როგორ ხორციელდება ჰესის სადაწნეო-სადერივაციო მილსადენის დაცლა ინსპექტირებისა და სარემონტო სამუშაოებისთვის;

მ) ანგარიშში (გვ. 136-139) სათავე ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების ეტაპების სქემაზე ნაჩვენებია უნდა იყოს მუდმივი და სამშენებლო გზები, დროებითი ნაგებობების (დამბები, კედლები) მოწყობის და დაშლის გათვალისწინებით;

ნ) ანგარიშში აღნიშნულია (გვ. 145), რომ გამონამუშევარი ფუჭი ქანების განთავსებისთვის გამოყოფილია 25480 მ³ ფართობის ტერიტორია, რაც საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, აღნიშნულ ფართობზე საანგარიშო მოცულობის (133000 მ³) ფუჭი ქანების განსათავსებლად საჭირო იქნება 7.8 მ-ზე მეტი სიმაღლის ყრილის მოწყობა (გრუნტის გაფხვიერების კოეფიციენტის გათვალისწინებით). გარდა ამისა, აუცილებელია დროებითი სანაყაროებისთვის საჭირო ფართობების განსაზღვრა/გამოყოფა სამშენებლო მიზნებით გამოსაყენებელი გრუნტისა და ა ნაყოფიერი ფენისთვის;

ო) დოკუმენტაციაში არ არის განსაზღვრული სათავე ნაგებობის მშენებლობით (ზღუდარების მოწყობა-დაშლა, მდინარის გადაგდება, სამშენებლო მექანიზმების მუშაობა კალაპოტში) იქთიოფაუნაზე მიყენებული სავარაუდო ზიანის სიდიდე და ერთჯერადი საკომპენსაციო ღონისძიებები, რაც უნდა დაზუსტდეს;

პ) ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საპროექტო უბანზე წყალმომხმარებლების (სატუმბო სადგურის გარდა) არსებობის შესახებ;

ჟ) ცხრილში 8.1.2 (ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი მონიტორინგის გეგმა) თევზსავალის ტექნიკური გამართულობის და მუშაობის ეფექტურობის შეფასებისთვის მითითებულია „თევზების მიგრაციის პერიოდის დაწყებამდე“, რაც არასწორია და შეუძლებელს გახდის თევზსავალის ეფექტურობის შეფასებას. აღნიშნული საკითხი დაზუსტებას საჭიროებს;

რ) სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე, 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - „სურები 2 ჰესის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ნაწილობრივ შედის ზოტის მადნიანი ველის (ოქრო, პოლიმეტალები) კონტურში. „წიადის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტი, იმ პირობით, თუ მომავალში მიმდებარე ტერიტორიებზე არ შეიზღუდება სასარგებლო წიადისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა, რის შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ინფორმაცია;

ს) წარმოდგენილი ზედაპირული წყლის ობიექტში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) დოკუმენტის სახელწოდება საჭიროებს კორექტირებას. ასევე, დოკუმენტში არ არის მოცემული ინფორმაცია ექსპლუატაციის ეტაპზე სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის შესახებ. მდ. სუფსის წყლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები არ შეესაბამება ზდჩ-ის ნორმების ანგარიშში გამოყენებულ შესაბამის მაჩვენებელს შეწონილი ნაწილაკებისთვის. დამატებით, დოკუმენტში ტერმინი „ნორმატივი“ უნდა შეიცვალოს ტერმინით „ნორმა“. ამასთან გაცნობებთ, რომ ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დადგენა ხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით ზდჩ-ის დოკუმენტი საჭიროებს კორექტირებას და ხელახლა წარმოდგენას;

ტ) ანგარიშში არ არის განხილული თევზსავალის და თევზამრიდის ალტერნატივები, რაც წარმოდგენილი უნდა იქნეს;

უ) ანგარიშში (გვ. 149 და 348) მოცემულია, რომ ბეტონის ზიდვა განხორციელდება მოქმედი ბეტონის საწარმოდან, მაგრამ არ არის მითითებული მისი ადგილმდებარეობა, ზიდვის მანძილი და მოძრაობის ინტენსივობა, რაც უნდა დაზუსტდეს;

ფ) აქვე: ანგარიშში (გვ. 31 და გვ. 115) ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა წარმოდგენილი მილსადენის სიგრძის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ნახაზი 3.4.1 (სურები 2 ჰესის სქემა) დაბალი გარჩევადობისაა და შესაბამისად უნდა დაკორექტირდეს. რუკებს (გვ. 161) აკლია ინფორმაცია მასშტაბის, ავტორების, თარიღის და პირობითი ნიშნების შესახებ.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოში გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი იქნა შენიშვნები და მოსაზრებები. შესაბამისად, დანართის სახით გიგზავნით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში შემოსულ წერილობით შენიშვნებსა და მოსაზრებებს (N993, N1343, N1341, N1069). გთხოვთ, განიხილოთ და აღნიშნული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია სააგენტოში წარმოადგინოთ შესაბამისი ცხრილის სახით.

გთხოვთ, ზემოაღნიშნულის შენიშვნების გათვალისწინებით, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. კორექტირებული დოკუმენტის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს თქვენი 24.11.2025 წ. N11751 განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



